სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/38

ქ. თბილისი

12 აპრილი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის 01-05-04/30 დადგენილების, სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა და აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტების დეკანების 2021 წლის 19 მარტის №254077, №255878 და №256822, 2021 წლის 22 მარტის №266925 და №263047, 2021 წლის 24 მარტის №278389, 2021 წლის 25 მარტის №282302, 2021 წლის 26 მარტის №287292, №287300 და №287289, 2021 წლის 29 მარტის №295712 მოხსენებითი ბარათების, ფაკულტეტის 2021 წლის 26 თებერვლის საბჭოს სხდომის №2 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 აპრილის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის 01-05-04/30 დადგენილების

შესაბამისად მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

ა) სამხედრო ინჟინერია;
ბ) საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები;
გ) ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი.
დ) ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი.
ე) არქიტექტურა;
ვ) არქიტექტურათმცოდნეობა.
ზ) საინჟინრო ფიზიკა;
თ) ინფორმატიკა;
ი) ბიოსამედიცინო ინჟინერია (ინგლისურენოვანი);
კ) მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი.
ლ) ბიზნესის ადმინისტრირება;
მ) საჯარო მმართველობა;
ნ) თეოლოგია;
ო) სოციალური მეცნიერებები;
პ) მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა;
ჟ) არქეოლოგია;
რ) აგრარული ტექნოლოგიები;
ს) სასურსათო ტექნოლოგია;
ტ) მეცხოველეობა.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**